

საქართველოში გეოინფორმაციული სისტემების განვითარების ფონდის გის ექსპერტი

### საქართველოს ერთიანი ტურისტული გეოინფორმაციული სისტემა

მიუხედავად განვითარების ფართო შესაძლებლობებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკისა, რეალური წარმატება დამოკიდებულია ისეთი კრიტიკული მნიშვნელობის ინფორმაციულ-ანალიტიკური საშუალებების არსებობაზე, რომელიც შესაძლებელს გახდის ტურიზმის განვითარება დაიგეგმოს და განხორციელდეს ზუსტი გათვლებების საფუძველზე.

ასეთი ტიპის საშუალებების შექმნა ამ ეტაპზე სახელმწიფო სექტორს დამოუკიდებლად არ შეუძლია. რაც მეტად ყალიბდება ტურიზმი ეკონომიკის სტრატეგიულ მიმართულებად მით უფრო აქტუალურად დგება დღის წესრიგში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფაქტის საკითხები. გლობალური გამოცდილების შედეგად ნათელია ის ფაქტი, რომ გის-ზე დაფუძნებული ინფორმაციულ-ანალიტიკური ხელსაწყოები ყველაზე ეფექტური საშუალებაა სტაბილური და უსაფრხო განვითარებისათვის.

#### პროექტის მიზანი

ტურიზმის გეოსაინფორმაციო სისტემისა და მასზე დაყრდნობით ტურიზმის უსაფრთხოების მოდელირების სისტემის ჩამოყალიბება.

#### **sistemis Semadgeneli komponentebi:**

მთლიანად საქართველოს და ცალკეული ტურისტული რეგიონების სხვადასხვა მასშტაბის (1: 1000000, 1:500000, 1: 200000, 1:50000, 1:10000) განახლებული ციფრული საფუძველები;

- ერთიანი მუდმივადგანახლებადი გეომონაცემთა ელექტრონული ბაზა;
- სამომხმარებლო სივრცით-თემატური სამიეზო სისტემა;
- საინსტალაციო კორპორაციული და ინტერაქტიული ვებრუკა;
- გის-ის პლატფორმაზე დაფუძნებული ანალიტიკური სისტემა

#### **ZiriTadi informaciuli SesaZleblobebi:**

- გეომონაცემთა ბაზები (ბუნებრივი და საზოგადოებრივი)
- რეგიონალური გეოსაინფორმაციო პლატფორმები (12 რეგიონი)
- თემატური რუკები
- ანალიტიკური რუკები
- კარტოდიაგრამები
- გის-ში ინტეგრირებული უსაფრთხოების დაგეგმვისა და მოდელირების სახელმძღვანელო
- ტიპიური ანგარიშები (კრებსითი ინფორმაცია)
- სამომხმარებლო სივრცით-თემატური სამიეზო სისტემა

სისტემა მრავალწახნაგოვანია და ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული თემატური საინფორმაციო ბლოკებისაგან შედგება, რომელთა ურთიერთკავშირები ეფექტური ალგორითმებით დიდი დახმარებას გაუწევს ტურიზმით დაინტერესებულ უწყებებსა თუ პირებს.